სენაკის მუნიციპალიტეტში, შპს „გეჯეთის" მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გადაწყვეტილება N 8

20.11.2019

საერთო მონაცემები:

საქმიანობის დასახელება: მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობა

საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება და მისამართი: სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. გეჯეთი

საქმიანობის განხორციელების ადგილი: სენაკის მუნიციპალიტეტი სოფ. გეჯეთი

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 31.05.2016.

მონაცემები ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს ,,ა.მ კონსალტინგი"

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის შეფასება

მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს ,,გეჯეთის" მიერ სამინისტროში წარმოდგენილია მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი.

შპს ,,გეჯეთის'' სასათბურე მეურნეობა განთავსებულია სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. გეჯეთში. ტერიტორიის საკადასტრო კოდია ს/კ 44.14.21.320. აღნიშნული ტერიტორია 164 894 $მ^2$ წარმოადგენს შპს ,,გეჯეთის'' საკუთრებას. უშუალოდ სასათბურე მეურნეობას უკავია ტერიტორიის 1800 $მ^2$, ხოლო ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის უბანს დაახლოებით 100 $მ^2$. საწარმოს ტერიტორიიდან მოსახლე დაშორებულია 200 მეტრით, ხოლო კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის საზღვრიდან მდ. ტეხური- 550 მეტრით.

შპს ,,გეჯეთს'' საქმიანობის განხორციელება დაწყებული აქვს 2015 წლის 1 ივნისამდე.

ნარჩენების დროებითი განთავსების და აღდგენის უბნისთვის სასათბურე მეურნეობის გვერდით მოწყობილია ცალკე შენობა, რომელიც გადახურულია და დაფარულია ბეტონის საფარით. საქვაბე ოთახში დამონტაჟებულია რუსული წარმოების ,,/9'' მოდელი წყალგამათბობელი დანადგარები, სადაც ხდება საწარმოო პროცესი. აღნიშნული წყალგამათბობელი დანადგარი საწვავად იყენებს დიზელს, ავტომანქანების ნამუშევარ ზეთებს, ჰიდრავლიკურ ზეთებს და სხვა.

საწვავის (ნამუშევარი ზეთები) განთავსება ხდება ტერიტორიაზე არსებულ 200 ლიტრი მოცულობის რეზერვუარში, რომელიც მოთავსებულია ქვიშის აბსორბენტზე. თავდაპირველად, აღნიშნულ რეზერვუარში გროვდება ობიექტზე შემოტანილი ნამუშევარი ზეთები, საიდანაც ტუმბოს საშუალებით ხდება მისი გადატუმბვა 2.50 ტონა მოცულობის ავზში. აღნიშნული რეზერვუარი ტექნოლოგიური მილსადენების საშუალებით მიერთებულია ობიექტზე განთავსებულ გამათბობელი დანადგარების ავზთან. პროცესში გამოყენებული ტუმბოები აღჭურვილია მექანიკური ფილტრებით. აღნიშნული ფილტრები უზრუნველყოფს საწვავის გაწმენდას მყარი მინარევებისაგან.

საქვაბის ოთახში ასევე დამონტაჟებულია 2 ღუმელი, სარეზერვო გათბობისათვის. აღნიშნული ღუმელები საწვავად იყენებს ქვანახშირს.

წარმოდგენილი ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მიხედვით სასათბურე მეურნეობის ტერიტორიაზე გათბობის მიზნით განთავსებული გამათბობელი მოწყობილობა წლის განმავლობაში მუშაობს მხოლოდ 4-5 თვე (წლის ცივ თვეებში). რუსული წარმოების ,,/9''-ის მოდელის დანადგარი საწვავად იყენებს მეორად ზეთებს 120 ლ/დღე-ღამეში.

საწარმოში დამონტაჟებულ ტუმბოებში, მექანიკური ფილტრების გაწმენდა ხდება პერიოდულად. ობიექტზე განთავსებულ გამათბობელ დანადგარებში წარმოქმნილი ნამწვი აირები ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა 1000 მმ დიამეტრის მილების საშუალებით.

საწარმოში განთავსებული დანადგარები აღჭურვილია ავარიული შეტყობინების სისტემებით.

აღნიშნული ობიექტის ტერიტორია მოშანდაკებულია მყარი საფარით და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის.

საწარმოს ფუნქციონირებისას მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წლის განმავლობაში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობაა-2,5 $მ^3$/წელ, მათი შეგროვება, სეპარაცია და განთავსება ხდება სათბურის ტერიტორიაზე განთავსებულ სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება ქ. სენაკის დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების წლიური რაოდენობა შეადგენს 120 კილოგრამს.

წარმოდგენილი ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მიხედვით საწარმოს ტერიტორიაზე არსებული გამათბობელი სისტემა და საწვავის მიწოდების ტუმბო განთავსებულია დახურულ შენობაში, შესაბამისად ხმაურის გავრცელების კუთხით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, შპს „გეჯეთის“ ტერიტორიაზე განთავსებულია, ნამუშევარ ზეთებზე ფუნქციონირებადი გამათბობელი დანადგარი, ქვანახშირზე მომუშავე 2 ღუმელი და საწვავის (ნამუშევარი ზეთი) შესაგროვებლად განკუთვნილი ავზი. დოკუმენტში არ არის შეფასებული ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, კერძოდ, არ

არის იდენტიფიცირებული მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები და შესაბამისად, არ არის განსაზღვრული მავნე ნივთიერებათა სახეობები და გაფრქვევის პარამეტრები. არ არის განხორციელებული ობიექტიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი (გაბნევის ანგარიში) შეფასება, ასევე გაფრქვევის წყაროების ურთიერთგანლაგების შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი ეკოლოგიური ანგარიშის მიხედვით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასება არ იძლევა საშუალებას მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღების ან/და შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა განსაზღვრის, ასევე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დადგენის საშუალებას. დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს ახლომდებარე ობიექტების, მათ შორის უახლოესი საცხოვრებელი სახლის თაობაზე და ასევე არ არის შეფასებული შესაძლო კუმულაციური ზემოქმედება.

სამინისტროში წარმოდგენილი ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშისა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის საჯარო განხილვა გაიმართა 2019 წლის 15 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, რომელსაც ესწრებოდა დოკუმენტის მომამზადებელი საკონსულტაციო კომპანიის ,,ა.მ კონსალტინგის" წარმომადგენელი. წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და/ან მოსაზრებები საზოგადოების მხრიდან არ წარმოდგენილა.

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით. ანგარიშის განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ საწარმოში გასატარებელია რიგი ღონისძიებები, როგორც გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის, ისე დამატებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

დასკვნითი ნაწილი:

მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს ,,გეჯეთის" მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება შესაძლებელია წარმოდგენილი ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის, გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის, ექსპერტიზის შედეგად დადგენილი პირობების და აღნიშნული პირობების გეგმა-გრაფიკით მითითებულ ვადებში შესრულების შემთხვევაში.

დადგენილი პირობები და შესაბამისი გეგმა-გრაფიკი

##	**პირობები**	**შესრულების ვადა მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან**
1.	შპს „გეჯეთმა" უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსისა" და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანებით დამტკიცებული „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის" მოთხოვნებთან;	3 თვის ვადაში
2.	შპს „გეჯეთმა" უზრუნველყოს სამინისტროში შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა: • დასამუშავებელი ნარჩენების სახეობა (კოდი და დასახელება „ნარჩენების მართვის კოდექსის" მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მიღებული დადგენილების შესაბამისად); • დასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა და წარმოშობა; • ნარჩენების აღდგენის ან განთავსების ოპერაციების კოდები და აღწერილობა „ნარჩენების მართვის კოდექსის" I ან II დანართის შესაბამისად; • გამოსაყენებელი საშუალებები და მოწყობილობები, აგრეთვე მათი წარმადობა.	2 თვის ვადაში
3.	შპს ,,გეჯეთმა'' უზრუნველყოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა.	2 თვის ვადაში
4.	შპს ,,გეჯეთმა'' უზრუნველყოს საწარმოს გენ-გეგმის, შესაბამისი ექსპლიკაციით სამინისტროში წარმოდგენა, სადაც ასევე დატანილი იქნება გაფრქვევის წყაროები;	2 თვის ვადაში
5.	შპს ,,გეჯეთმა'' უზრუნველყოს საწარმოში განთავსებული დანადგარების შესახებ	2 თვის ვადაში

	დეტალური ინფორმაციის (რაოდენობა, პარამეტრები, საპასპორტო მონაცემები) სამინისტროში წარმოდგენა.	
6.	შპს ,,გეჯეთმა'' უზრუნველყოს საწარმოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების და პარამეტრების, ასევე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა სახეობების და გაფრქვევის რაოდენობების შესახებ დეტალური ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა.	3 თვის ვადაში
7.	შპს ,,გეჯეთმა'' უზრუნველყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება, სადაც საწარმოს ტერიტორიაზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება უახლოეს მოსახლესთან ინსტრუმენტული მონიტორინგიც;	2 თვის ვადაში
8.	შპს ,,გეჯეთმა'' სამინისტროში წარმოადგინოს ზეთების წვის პროცესში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიში.	3 თვის ვადაში
9.	შპს ,,გეჯეთმა'' უზრუნველყოს საწარმოსთან ახლომდებარე ობიექტების, მათ შორის უახლოესი საცხოვრებელი სახლის, თაობაზე ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა, კუმულაციური ზემოქმედების შეფასების გათვალისწინებით.	2 თვის ვადაში
10.	შპს ,,გეჯეთმა'' უზრუნველყოს ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის'' შემუშავება და გზშ-ის ანგარიშთან ერთად სამინისტროში წარმოდგენა, რომელშიც განხილული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის ყველა წყარო.	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენის ეტაპზე